№ III -8/22

ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება PA 04721/11

2011 წლის 5 ოქტომბერი

ერთის მხრივ სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი" (ს/ნ 204426674), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნ გიორგი კვირიკაძის და გენერალური დირექტორის მოადგილის ბ-ნ მურაზ ფიჩხაძის სახით, (შემდგომში "მზღვეველი"), და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი გენერალური (ს/ნ 204468664), დირექტორის ბ-ნ დავით ლორთქიფანიძის სახით (შემდგომში "დამზღვევი"), მეორეს მხრივ, ვდებთ ამ ხელშეკრულებას მზღვეველის მიერ დამტკიცებული დაზღვევის საერთო წესების შესაბამისად და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს "მზღვეველის" ვალდებულებას გაუწიოს დამზღვევის მიერ განსაზღვრულ თანამშრომლებს - "დაზღვეულებს" მისი ქონებრივი და პირადი ინტერესის დასაცავად, სადაზღვევო შესატანის (შემდგომში: პრემია) გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო მომსახურება დაკავშირებული "დაზღვეულის" **უბედური შემთხვევის დაზღვევასთან** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით.

2. დაზღვევის პირობები

2.1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული სადაზღვევო მომსახურების პირობები მოცემული იქნება "მზღვეველის" მიერ გაცემულ სადაზღვევო მოწმობაში („სადაზღვევო პოლისში"), რომელიც "მზღვეველის" მიერ დამტკიცებულ "სადაზღვევო წესებთან" (შემდგომში: დანართი №1) და წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად არეგულირებს დაზღვეულთან დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთიერთობას. ამასთანავე სადაზღვევო პოლისი წარმოადგენს განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც "დამზღვევს"/"დაზღვეულს" მისი მიღების შემდგომ აძლევს უფლებას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურება.

2.2. მხარეთა მიერ სადაზღვევო პოლისის მეშვეობით განისაზღვრება დაზღვევის საგანი, დაზღვეული პირის ვინაობა, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა, სადაზღვევო თანხის ოდენობა და სადაზღვევო შესატანის ოდენობა (მისი გადახდის პირობების ჩათვლით).

2.3. დაზღვევა იწყება სადაზღვევო პოლისში მითითებული პირველი დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე და მთავრდება პოლისში მითითებული ბოლო დღის 24 (ოცდაოთხი) საათზე.

2.4. დაზღვევის ხელშეკრულება შედგება განაცხადის, მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლისისა და წინამდებარე პირობებისგან.

2.5. დაზღვეულის ჯანმრთელობასთან, პროფესია/საქმიანობასთან ან უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის ან ნებისმიერი სხვა ინფორმაციის დამალვის ან გაყალბების შემთხვევაში სადაზღვევო პოლისი ჩაითვლება ბათილად და მზღვეველს უფლება აქვს უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე.

2. დაზღვეულ პირთა სია

2.1. დაზღვეულ პირთა სია (შემდგომში: "დანართი №2") "დამზღვევის" მიერ "მზღვეველს" წარედგინება წერილობით, რომელშიც მოცემული იქნება "მზღვეველის" მიერ განსაზღვრული, დაზღვევის პროცედურებისთვის სავალდებულო დეტალები. დანართი №2-ს ფორმა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2. დანართი №2-ს ნებისმიერი ცვლილების შესახებ "მზღვეველს" უნდა ეცნობოს წერილობით.

2.3. დანართში №2 ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანის შემთხვევაში დაზღვევა ამოქმედდება/გაუქმდება მომდევნო კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან ამ პირზე გაცემულ პოლისში მოცემული პირობების შესაბამისად.

2.4. დაუშვებელია დანართი №2-ში ცვლილებების შეტანა მხარეთა შორის 3 (სამი) და 3 (სამი) თვეზე ნაკლები ვადით გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

2.5. დანართში №2 ცვლილებების შეტანისას მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის კორექტირება.

3. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

3.1. დაზღვევის გაფორმებისას "დამზღვევი" ვალდებულია აცნობოს "მზღვეველს" ყველა მისთვის ცნობილი ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით

გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის, მათ შორის "დაზღვეულის" ჯანმრთელობასთან და/ან მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. აგრეთვე ინფორმაცია ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა "მზღვეველის" გადაწყვეტილებაზე უარი თქვას წინამდებარე დაზღვევაზე ან დადოს იგი შეცვლილი შინაარსით

3.2. დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს დაზღვეულის ნებისმიერი ავადმყოფობის, ფიზიკური დეფექტის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილების შესახებ და/ან ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელიც მოხდა განაცხადის შევსების ან მსგავსი ცვლილებების შესახებ წინა შეტყობინების შემდეგ. შესაბამისი ცვლილებების თანახმად მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ან გაზარდოს სადაზღვევო პრემია ან მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება

3.3. "დამზღვევმა" "მზღვეველს" დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს **2 (ორი)** დღისა, წერილობით უნდა აცნობოს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც აღმოცენდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდგომ.

4. სადაზღვევო პრემია, მისი გადახდის წესი და პირობები

4.1. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო მომსახურებისათვის პრემიის ჯამური ოდენობა განისაზღვრება 80 (ოთხმოცი) ლარით.

4.2. პრემიის ოდენობა ლარში უნდა განისაზღვროს შემდეგი წესით: ლარის გადახდილი ოდენობა უნდა იყოს იმდენი, რამდენიც აუცილებელი იქნება დოლარში გამოხატული პრემიის თანხის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით (შესაბამისი ტრანშის გადახდის დღისთვის) შესაძენად.

4.3. სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება შემდეგი გრაფიკის მიხედვით: ერთჯერადად

4.4. თუ თანხის გადახდის დღე დაემთხვა არასამუშაო ან საქართველოში გამოცხადებულ გამოსასვლელ დღეს, ამ დღის ნაცვლად გამოიყენება მომდევნო სამუშაო დღე.

4.5. "დამზღვევი" უფლებამოსილია პრემია გადაიხადოს წინმსწრები გრაფიკით ნაწილ-ნაწილ ან ერთიანად (სრულად).ყოველთვიური გადახდისას - საწყისი საკონტრაქტო ჯამური პრემიის 1/12 (ერთი მეთორმეტედი) ნაწილი ფიქსირებულად, ყოველი თვის 10 (ათი) რიცხვამდე.

4.6. პრემიის გადახდა მოხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით დამზღვევის არჩევანის შესაბამისად. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში გადახდა დასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უნაღდო ნაგარიშსწორების შემთხვევაში თანხა გადახდილად იქნება მიჩნეული მისი "მზღვეველის" ანგარიშზე ფაქტობრივი ჩარიცხვის შემდეგ.

4.7. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია ყველა დაზღვეულზე სრულად.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. "მზღვეველი" ვალდებულია:

5.1.1. აანაზღაუროს ზიანი წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართი №1-თ გათვალისწინებული წესით დაზღვევის წესების შესაბამისად, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და "მზღვეველის" მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრის შემდგომ.

5.1.2. უზრუნველყოს "დამზღვევისათვის" ყველა იმ დოკუმენტის გადაცემა (დანართი №1 და სადაზღვევო პოლისი), რომლებიც საჭიროა დაზღვევის გაფორმებისათვის;

5.1.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში, სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისათვის დამზღვევის/დაზღვეულის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ შეასრულოს დაზღვევით ნაკისრი ვალდებულება დროულად და ჯეროვნად;

5.1.4. "დაზღვეულის" სამედიცინო მომსახურება უზრუნველყოს იმ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელსაც აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია.

5.2. "დამზღვევი" ვალდებულია:

5.2.1. ხელშეკრულების დადებისას კეთილსინდისიერად შეასრულოს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

5.2.2. დროულად და სრულად გადაიხადოს პრემია ხელშეკრულებაში დადგენილი წესების დაცვით;

5.2.3. ხელი შეუწყოს "მზღვეველის" მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან და მის შედეგებთან დაკავშირებული მონაცემების მოკვლევა-მოძიებას;

5.2.4. მოიპოვოს და გადასცეს "მზღვეველს" დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია რეგრესის უფლების განსახორციელებლად;

6. განცხადება და გარანტია

6.1. "დამზღვევი" აცხადებს, რომ გააჩნია ყველა საჭირო თანხმობა და ნებართვა იმისათვის, რომ დადოს ეს ხელშეკრულება "დაზღვეულთა" სასარგებლოდ.

6.2. "დამზღვევი" ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით ადასტურებს, რომ ხელშეკრულება და "მზღვეველის" მიერ მისთვის გადაცემული დანართი №1 არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. "დამზღვევი"

ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ დანართს №1 გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

6.3. "მზღვეველის" მიერ მისთვის გადაცემული სადაზღვევო წესები არ შეიცავს ბუნდოვან ან უჩვეულო დებულებებს და რომ იგი სრულად გაეცნო და ეთანხმება პირობებს. "დამზღვევი" ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აგრეთვე ადასტურებს, რომ სადაზღვევო წესებს გააჩნია მისთვის სავალდებულო ძალა.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მისი მოქმედების ვადა, შეწყვეტისა და მოშლის პირობები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2011 წლის 10 ოქტომბრის 00:00 საათზე და მოქმედებს, 2011 წლის 10 ნოემბრის 24:00 საათამდე

7.2. პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე "მზღვეველი" თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.

7.3. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მზღვეველი გასცემს პოლისის ასლს. ამის შემდეგ დაკარგული პოლისი უვარგისად ჩაითვლება, ხოლო ასლის გაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს გაიღებს დამზღვევი.

7.4. წინამდებარე ხელშკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ამავე ხელშკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობებითა და წესით.

7.5. დაზღვევის ხელშეკრულება ამოწურულად ჩაითვლება:

7.5.1. სადაზღვევო პერიოდის დამთავრებისთანავე;

7.5.2. მზღვეველის მიერ მისი ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე (სადაზღვევო თანხის ამოწურვისთანავე);

7.5.3. "დაზღვეულის" მოთხოვნის შემთხვევაში, კონკრეტულად ამ პირის მიმართ, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო "დამზღვევის" მიერ "დაზღვეულის" შეუტყობინებლად; ასეთ შემთხვევაში მიყენებული დამდგარი ზიანის ანაზღაურება ეკისრება "დამზღვევს";

7.5.4. "დაზღვეულის" გარდაცვალების შემთხვევაში, თუკი ასეთი შემთხვევა არ განეკუთვნება სადაზღვევო შემთხვევას და თუ არ მოხდება მისი სხვა პირით ჩანაცვლება (დაზღვევის ინტერესის დაკარგვა);

7.5.5. დაზღვეულის გარდაცვალებისთანავე (ინდივიდუალური დაზღვევის შემთხვევაში);

7.5.6. დამზღვევის/დაზღვეულის მიერ სადაზღვევო პირობების დარღვევის შემთხვევაში ;

7.5.7. "მზღვეველის" მიერ პოლისით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემდგომ.

7.6. "მზღვეველი" უფლებამოსილია ვადამდე მოშალოს სადაზღვევო ურთიერთობა შემდეგ შემთხვევაში:

7.6.1. თუ დაირღვა პრემიის გადახდის ვალდებულება (პრემია და/ან მისი ნაწილი დროულად ან დადგენილი ოდენობით არ იქნა გადახდილი), "მზღვეველი" თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისგან. სადაზღვევო ხელშეკრულება განახლდება მხოლოდ "დამზღვევის" მიერ პრემიის გადახდის შემდეგ. დავალიანების დადგომის მომენტიდან პრემიის გადახდის მომენტამდე არსებულ პერიოდში დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები ანაზღაურებას არ ექვემდებარება.

7.6.2. თუ 3.1. პუნქტის საწინააღმდეგოდ დაირღვა არსებითი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, "მზღვეველს" არ მიეწოდა ინფორმაცია და/ან ინფორმაცია შეიცავდა არასწორ მონაცემებს, მაშინ "მზღვეველი" თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი ყოველგვარი მოვალეობის შესრულებისაგან.

7.6.3. "მზღვეველი" თავისუფლდება დაზღვევით ნაკისრი მოვალეობის შესრულებისგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომაც, თუ გარემოებამ, რომლის შესახებაც დაირღვა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გავლენა იქონია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე და "მზღვეველის" მოვალეობის შესრულებაზე.

7.6.4. მხარეებს უნდა ეცნობოთ ხელშეკრულების მოშლის შესახებ წერილობით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარე, რომელიც დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, აანაზღაურებს ამით გამოწვეულ ზიანს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. "დამზღვევის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების, ასევე სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს "დამზღვევისაგან" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების [redacted]%-ს ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის; პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს "დამზღვევს" მის მიერ წინამდებარე ხელშეკულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისაგან.

8.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და დანართი 1-ს 11-ე თავში "ქმედება უბედური შემთხვევის დროს" განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი 1

(ერთი) თვის ვადაში აუნაზღაურებს მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. მხარეებმა ყველა დონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მიმართ.

9.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

9.3. გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია "მზღვეველის" ადგილსამყოფელი, დავის განხილვა მოხდება მისი ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ საერთო სასამართლოში.

10. დამატებითი პირობები

10.1. ყველა ცნობის მიწოდება, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, ხდება წერილობითი ფორმით ან კავშირის ისეთი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გადაცემული ცნობის დოკუმენტალური სახით ფიქსირების ან მიმღები მხარის მიერ მისი მიღების დადასტურების საშუალებას.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება წერილობით, ორივე მხარის ხელმოწერით.

10.3. მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ საქმიანი ურთიერთობების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, გარდა საქართველოს კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.4. ყველაფერ დანარჩენში, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

10.5. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, რომელიც შეიცავს დანართს და განაცხადებს.

10.7. მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს იურიდიული მისამართის/რეკვიზიტების ცვლილების შესახებ ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა;

10.8. ამ ხელშეკრულებასა და დანართებსა ან ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებას შორის წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების ტექსტს.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები:

"მზღვეველი"	**"დამზღვევი"**
სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"	**სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი**
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 67	**ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 3**
გენერალური დირექტორი:	**გენერალური დირექტორი:**
/გიორგი ჟვირბლაძე/	/დ.ლორთქიფანიძე/
გენერალური დირექტორის მოადგილე:	
/მერაბ ფიჩხაძე/	

დანართი 1 – „სადაზღვევო წესები“

1. განსაზღვრებები

მზღვეველი – სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“.
დაზღვეული – ინდივიდუალური დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისში მითითებული 70 წლამდე ასაკის პიროვნება, რომლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაზღვეულია უბედური შემთხვევისგან წინამდებარე პირობების თანახმად. კოლექტიური დაზღვევის შემთხვევაში, 65 წლამდე ასაკის საწარმოს მუშაკი, სანამ ის იმყოფება ამ საწარმოს კადრების განყოფილების აღრიცხვაზე.
დამზღვევი – სადაზღვევო პოლისში მითითებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მზღვეველთან აფორმებს ხელშეკრულებას.
მოსარგებლე – დაზღვეულის სამკვიდრო მოწმობის მქონე მემკვიდრეები.
უბედური შემთხვევა – თვალსაჩინო გარე ძალების ზემოქმედებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი და უეცარი შემთხვევა, მომხდარი დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო უზრუნველყოფის საათებში, რომელმაც განაპირობა დაზღვეულის სხეულის დაზიანება ან გარდაცვალება.
სტაციონარში განთავსება – უბედური შემთხვევის შედეგად სხეულის დაზიანების/ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით სტაციონარში განთავსება.
გარდაცვალება – უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში მომხდარი, უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული დაზღვეულის გარდაცვალება.
სადაზღვევო შემთხვევა – სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის შედეგადაც წარმოიშვება მზღვეველის ვალდებულება გადაუხადოს დაზღვეულს (მოსარგებლეს).
სადაზღვევო პერიოდი – სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი.
სადაზღვევო თანხა – პოლისით გათვალისწინებული მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა.
მიმდინარე სადაზღვევო თანხა – სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის, პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის ნაწილი, რომელიც დარჩა წინა სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების შემდეგ.
სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე – ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი თითოეულ დასაქმებულზე, შესაბამისი საქმიანობის კლასის მიხედვით, როგორც ეს მითითებულია პოლისში.
სადაზღვევო პრემია – პოლისში მითითებული თანხა, რომელსაც დამზღვევი უხდის მზღვეველს სადაზღვევო უზრუნველყოფაში.

2. პირები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დაზღვევას

1. პირები, რომლებიც მუდმივ მოვლას საჭიროებენ ან რომლებიც ფსიქიურად არიან დაავადებულნი, არ ექვემდებარებიან დაზღვევას და არ ჩაითვლებიან დაზღვეულებად, მათ სასარგებლოდ პრემიის გადახდის პირობებშიც კი.
   პირი, რომელიც მუდმივ მოვლას საჭიროებს, გულისხმობს პირს, რომელიც ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის სხვების დახმარებას საჭიროებს.
2. იმ დაზღვეულების მიმართ, რომელნიც აღმოჩნდებიან წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ მდგომარეობაში ხელშეკრულების დადების შემდეგ, აღნიშნული ხელშეკრულება წყდება ასეთი გარემოებების დადგომის მომენტიდან.

დაზღვევის დამატებითი პროცედურები კოლექტიური დაზღვევისას

1. კოლექტიური დაზღვევის შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას დამზღვევი წარადგენს დასაზღვევი დასაქმებული პირების თანამდებობების სიას და ავსებს დადგენილი ფორმის განაცხადს, ხოლო მზღვეველი ავსებს პოლისს. ინდივიდუალური დაზღვევის შემთხვევაში განაცხადს ავსებს დასაზღვევი პირი და ამ განაცხადს ხელს აწერენ დასაზღვევი პირი და დამზღვევი. დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება მთავრდება სადაზღვევო პოლისის გაცემით. მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს სხვა დამატებითი საბუთები არსებული რისკის დასადგენად.

2. კოლექტიური დაზღვევის შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მზღვეველს საქმიანობის კლასების ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობაში რაიმე ცვლილების შესახებ. ამგვარი ინფორმაციის მიღებისას მზღვეველს აქვს უფლება პროპორციულად გაზარდოს გადასახდელი პრემიის ოდენობა რისკის მომატების მიხედვით. სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე, მზღვეველისთვის ამგვარი ინფორმაციის არმიწოდების შემთხვევაში, გადასახდელი

ანაზღაურების ოდენობა შეიძლება შემცირდეს დაუზღვეველი დასაქმებულების მომატების/დასაქმებულთა საქმიანობის კლასების შეფარდების ცვლილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, გადასახდელი ანაზღაურება შემცირდება იმ პროპორციით, რა პროპორციითაც, პოლისის მიხედვით, მთლიანი გადასახდელი პრემია შეეფარდება იმ პრემიის ოდენობას, რომელიც გადასახდელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველს ექნებოდა ინფორმაცია ამგვარი ცვლილების შესახებ.

4. ტერიტორიული შარგლები

სადაზღვევო უზრუნველყოფა ძალაშია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში.

5. პირობები

დაზღვევის საგანია დაზღვეულის ან მისი მოსარგებლის ფინანსური ინტერესები, დაკავშირებული უბედური შემთხვევის შედეგად შემოსავლის დროებით ან მუდმივ შემცირებასთან, დაზღვეულის შრომისუნარიანობის დაკარგვასა ან გარდაცვალებასთან.
წინამდებარე პირობების თანახმად სადაზღვევო შემთხვევად განიხილება უბედური შემთხვევით გამოწვეული:

1) უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება – მხოლოდ უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება; სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე 3 000 (სამი ათასი) ლარი.
2) უბედური შემთხვევით გამოწვეული ჰოსპიტალიზაცია - ითვალისწინებს გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას ჰოსპიტალში 24-საათზე მეტი ხნით დაყოვნებისას მედიკამენტების, დიაგნოსტიკური მანიპულაციების, თერაპიული და ქირურგიული მკურნალობის ღირებულების ანაზღაურებას, პოლისის პირობების შესაბამისად ; ლიმიტი ცალკეულ დაზღვეულზე შეადგენს 3 000 (სამი ათასი) ლარს.
3) გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება –სადაზღვევო პერიოდში აღმოცენებული გარეშე ძალის (ფიზიკური, მექანიკური, თერმული, ქიმიური) ზემოქმედების შედეგად საჭირო გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების (კლინიკური, ინსტრუმენტული, ლაბორატორიული გამოკვლევებისა და ამბულატორიული მანიპულაციების) ხარჯების ანაზღაურება, პოლისის პირობების შესაბამისად, ლიმიტი ცალკეულ დაზღვეულზე შეადგენს 200 (ორას) ლარს.

სადაზღვევო უზრუნველყოფა:

- მხოლოდ სამუშაო საათებში, პირდაპირ, გზის გაუმრუდებლად საცხოვრებელი ადგილიდან სამსახურში და სამსახურიდან საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობის ჩათვლით;
- წლიური სადაზღვევო თანხა ერთ დაზღვეულზე შეადგენს 3000 (სამი ათას) ლარს.
- სადაზღვევო თანხა ცალკეული შემთხვევევისას შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.
- სადაზღვევო თანხა მთლიანობაში შეადგენს 24 000 (ოცდაოთხი ათასი) ლარს.

6. გამონაკლისები

ეს დაზღვევა არ ფარავს:

- უბედურ შემთხვევამდე არსებულ ფიზიკურ ნაკლებს, ანომალიებს ან დაავადებებს;
- სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე მომხდარ უბედურ შემთხვევებს;
- ავიაკომპანიის მიერ მგზავრთა ავტომატურ დაზღვევას;
- ავიაკომპანიის თანამშრომლებსა და ეკიპაჟს;
- გემების ეკიპაჟსა და მყვინთავებს;
- კოლექტიურ საფუძველზე მაღაროებში მომუშავეებს.

ეს დაზღვევა არ ფარავს გარდაცვალებას ან შრომისუუნარობას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული ან პროვოცირებული იქნა ან შედეგად მოჰყვა:

- ჩატარებულ ან მიმდინარე მკურნალობას ან ჩარევებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი ჩარევა ან მკურნალობა (რადიოდიაგნოსტიკისა და რადიოთერაპიის ჩათვლით) აუცილებელია უბედური შემთხვევის შედეგად, რომელიც წინამდებარე დაზღვევით იფარება;

- ინფექციებს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ უბედური შემთხვევის დროს, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება, მომხდარი დაზიანების შედეგად დაზღვეულის ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა;
- კანის ან ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დაზიანებები, რომელთა შედეგადაც დაზღვეულის ორგანიზმში მაშინვე ან მოგვიანებით ინფექცია შეიჭრა, არ ჩაითვლება უბედური შემთხვევის შედეგად მიღებულ დაზიანებად, გარდა ცოფისა და ტეტანუსისა;
- მოწამვლას, რომელიც მოყვა დაზღვეულის მიერ თხევადი ან არათხევადი ნივთიერების მიღებას;
- აბდომინალურ ან საზარდულის თიაქარს, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება, თუ ამგვარი დაზიანება შედეგად მოყვა ძლიერ გარე ზეგავლენას, რომელიც წინამდებარე პოლისით იფარება;
- მალთაშორისი დისკების დაზიანებას, სისხლდენას შინაგანი ორგანოებიდან და თავის ტვინში სისხლჩაქცევას, თუმცა სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება თუ წინამდებარე პოლისით დაფარული უბედური შემთხვევა წარმოადგენს ზემოაღნიშნულის პირველად მიზეზს;
- ორსულობას ან მშობიარობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობიარობა უბედური შემთხვევით იქნება დაჩქარებული;
- გონებრივ, ფსიქიურ ან ფსიქოსომატურ დარღვევებს (დროებითს ან სხვას);
- დაზღვეულის ყოფნას ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მოქმედების ქვეშ;
- განსაკუთრებული საფრთხის მიმართ შეგნებულ გაუფრთხილებლობას (თუ ეს ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით არ ხდება);
- დაზღვეულის თვითმკვლელობას ან ამგვარის მცდელობას, შეგნებულ თვითდაშავებას;
- დაზღვეულის მიერ ჩადენილ დანაშაულს ან მისი ჩადენის მცდელობას;
- დაზღვეულის საჰაერო მგზავრობას, თუ იგი არ არის მგზავრი ან/და არ მგზავრობს რეგულარული/ჩარტერული რეისების შემსრულებელი კომპანიის თვითმფრინავით;
- ბირთვული ენერგიით (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება), ნებისმიერ დაზიანებას ან დაავადებას, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოყვა ბირთვული საწვავით ან ბირთვული საწვავის აფეთქებით გამოწვეულ იონიზირებულ დასხივებას ან რადიოაქტიულ დაბინძურებას;
- ომს, ინტერვენციას, მტრის მოქმედებებს, საომარ მოქმედებებს (განურჩევლად იმისა, გამოცხადებულია თუ არა ომი), სამოქალაქო ომს, აჯანყებას, ნაციონალიზაციას ან კონფისკაციას ნებისმიერი მთავრობის ან მისი დავალებით ან სახელმწიფო თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს მიერ, ან ნებისმიერი პირების, რომლებიც მოქმედებენ დამოუკიდებლად ან რაიმე ორგანიზაციასთან კავშირში და რომელთა საქმიანობაც მიმართულია დე ფაქტო თუ დე ჯურე მთავრობის გადადგომაზე ან მის ზეგავლენაზე ტერორიზმის თუ ძალადობის მეშვეობით;
- ნებისმიერ ტერორისტულ აქტს;

ტერორისტული აქტი გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური ან ეთნიკური მოტივით სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით ან/და საზოგადოების ან მისი რომელიმე ნაწილის დაშინების მიზნით გამოყენებულ ძალას ან ძალადობას და/ან მუქარას ნებისმიერი პირის ან პირების ჯგუფის მიერ, მიუხედავად იმისა მოქმედებენ ისინი მარტო, თუ რაიმე ორგანიზაციების ან ხელისუფლებების სახელით ან მათთან შეთანხმებულად.

აგრეთვე გამონაკლისს წარმოადგენს ნებისმიერი უბედური შემთხვევა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან რაიმე კავშირშია ნებისმიერ ქმედებასთან, რომელიც ჩადენილია ტერორისტული აქტის კონტროლის, ხელშეშლის, აცილების მიზნით ან რაიმე კავშირშია მასთან.

- სანაძლეოს, აკრობატულ ოინებს, ნებისმიერი სახისრეკორდის დამყარებას ან მის მცდელობას და მისთვის მზადებას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- სადაზღვევო ანაზღაურების მიღებაში დაინტერესებული პირის (მოსარგებლის, მემკვიდრის) მიერ, დაზღვეულის წინასწარ განზრახულ მკვლელობას ან მის მონაწილეობას მკვლელობის ორგანიზებაში;
- დაზღვეულის ყოფნას ან მონაწილეობას:
- - პოლიციის, სამხედრო ფლოტის, ჯარის ან სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში ან სამხედრო ოპერაციებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში;
- უბედური შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, დაზღვეული პიროვნება აღარ იქნება დასაქმებული დამზღვევ საწარმოში.
- - ზამთრის სპორტის სახეობებში, პროფესიონალურ თუ სამოყვარულო სპორტში, აკვალანგით ყვინთვაში, კლდეზე ცოცვაში ან ალპინიზმში, სპელეოლოგიაში, დელტაპლანერიზმში, პარაშუტით ხტომაში, ნადირობაში, რაიმე სახის დოღებში ან რბოლებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული პოლისში

7. სადაზღვევო თანხა და სადაზღვევო ლიმიტი პიროვნებაზე

სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხა წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალურ ლიმიტს, რომელიც შეიძლება გადახდილი იყოს ამ პოლისის მიხედვით.
სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისას, მზღვეველის პასუხისმგებლობა მცირდება გადახდილი თანხების ოდენობით და შემდგომი სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას, ასანაზღაურებელი თანხა მიმდინარე სადაზღვევო თანხიდან გამოითვლება. თითოეულ პიროვნებაზე ანაზღაურების გამოთვლისას, ხდება მიმდინარე სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების მთლიანი მოცულობის გათვალისწინება. თუ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პრეტენზიების მოცულობა მიმდინარე თანხას აღემატება, ანაზღაურება თითოეულ დაშავებულზე შემცირდება მიმდინარე სადაზღვევო თანხის გაცხადებული პრეტენზიების მოცულობასთან შეფარდების პროპორციულად.

ამ პოლისის თანახმად სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, თუ

- პირველი ან ერთჯერადი პრემიის დროულად გადახდამდე "მზღვეველი" თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან.
- დაზღვეული დაეზღვია უბედური შემთხვევისაგან სხვა სადაზღვევო კომპანიაში/კომპანიებშიც და ამ დაზღვევის/დაზღვევების ძალაში შესვლის მომენტიდან 3 კვირის განმავლობაში მზღვეველმა არ მიიღო შესაბამისი წერილობითი შეტყობინება;
- დაზღვეულმა შეიცვალა პროფესია ან საქმიანობა და მზღვეველს არ შეატყობინა ამ ცვლილებების შესახებ, ხოლო უკანასკნელს გავლენა ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე;
- უბედური შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, კოლექტიური დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვევაზე განცხადებული პიროვნება აღარ იქნება დასაქმებული დამზღვევ საწარმოში.

8. ქმედება უბედური შემთხვევის დროს

გადაუდებელი ამბულატორიული და უბედური შემთხვევით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის საჭიროებისას - დაზღვეული, ან სხვა დაინტერესებული პირი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიის ცხელ ხაზს, ტელ. : 505 111. შეტყობინება მოიცავს შემდეგ ინფორმაციას : დაზღვეულის სახელი, გვარი, პოლისის ნომერი, სამედიცინო დაწესებულების დასახელება, სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის დრო. შეტყობინების გარეშე მიღებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ანაზღაურება განხორციელდება კონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში პირდაპირი ანგარიშსწორების გზით, ხოლო სხვა, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვისას შესაბამისი მომსახურების ხარჯების უნაზღაურდება დაზღვეულს. ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (სადაზღვევო პოლისი, პირადობის მოწმობა, ფორმა № 100, გადახდის დამადასტურებელი ფინანსურ დოკუმენტაცია - სალაროს ქვითარი, შემოსავლის ორდერი, ანგარიშ-ფაქტურა და დეტალური კალკულაცია) წარმოდგენილ უნდა იქნას « სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის » სერვის ცენტრში სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან/მომსახურების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

ნებისმიერი უბედური შემთხვევის დადგომისას

- დაზღვეული ვალდებულია რაც შეიძლება მალე მიმართოს სამკურნალო დაწესებულებას;
- ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ და დაზღვეულის დაშავების მოკლე აღწერა უნდა გაეგზავნოს მზღვეველს უბედური შემთხვევის მომენტიდან 48 საათის განმავლობაში მისამართზე: საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას ქ. №67;
- დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია შეავსოს მზღვეველის მიერ მისთვის მიწოდებული ფორმა "პრეტენზია ანაზღაურებაზე" და პრაქტიკულად შესაძლებელ მოკლე ვადაში სადაზღვევო პოლისთან და სხვა საჭირო საბუთებთან ერთად წარუდგინოს ის მზღვეველს.

თუ შესაძლებელია, რომ უბედურ შემთხვევას შედეგად მოყვეს დროებითი შრომისუუნარობა ან სტაციონარში მკურნალობა, დაზღვეულმა/დამზღვევმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა სტაციონარში განთავსებიდან/დროებითი შრომისუუნარობის 14 დღიანი მოსაცდელი პერიოდის ამოწურვიდან. თუ დაზღვეულმა/დამზღვევმა ვერ შეასრულა ეს ვალდებულება, ის კარგავს სადაზღვევო პირობების ამ სექციებით განსაზღვრულ ყველა სარგებელს, ხოლო მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისგან გადაიხადოს ანაზღაურება დროებითი შრომისუუნარობის/სტაციონარში მკურნალობის დღიური ანაზღაურების მიხედვით.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საკითხის გადასაწყვეტად, მკურნალობის დამთავრებიდან/მუდმივი შრომისუუნარობის დადგომიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო კვირისა, ანაზღაურებაზე პრეტენზიასთან ერთად, მზღვეველს უნდა წარედგინოს შემდეგი საბუთები:

- შრომისუუნარობის ფურცელი სამედიცინო დაწესებულებიდან, სადაც ტარდებოდა მკურნალობა;
- ცნობა სამუშაო ადგილიდან ოფიციალური ხელზე ასაღები ხელფასის შესახებ;

- სამედიცინო ექსპერტის გადაწყვეტილება დროებითი სრული/მუდმივი სრული/ნაწილობრივი შრომისუუნარობის დადგომის შესახებ;
- ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ;
- სადაზღვევო პოლისის ორიგინალი;
- დაზღვეულის პირადობის მოწმობა (გარდა დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევისა);
- დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებს მზღვეველისათვის შეტყობინების დროულად გაგზავნის ფაქტს;
- ცნობა გარდაცვალების შესახებ, სამედიცინო დასკვნა გარდაცვალების შესახებ და მოსარგებლის პირადობის მოწმობა (დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში).

საჭიროების შემთხვევაში მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სხვა საჭირო საბუთები.

კოლექტიური დაზღვევის შემთხვევაში, მას შემდეგ რაც მზღვეველის მიერ აღიარებულ იქნება სადაზღვევო შემთხვევა, სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად მას კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უნდა წარედგინოს მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ორიგინალი და მემკვიდრის პირადობის მოწმობა.

დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზით ანაზღაურებაზე პრეტენზიის შემთხვევაში, გარდაცვლილი დაზღვეულის სხეული უნდა იყოს ამოცნობილი. *დაზღვეულის გაუჩინარების შემთხვევა არ განიხილება გარდაცვალებად უბედური შემთხვევის შედეგად.*

იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი თვლის, რომ საჭიროა გარდაცვალების მიზეზის ან შრომისუუნარობის ხარისხის დაზუსტება, მის მიერ მოთხოვნილ ექიმ-ექსპერტს ნება უნდა დაერთოს ჩაუტაროს დაზღვეულს სამედიცინო გამოკვლევა, ხოლო გარდაცვალების შემთხვევაში ჩატარდეს პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევა. ნებისმიერ შემთხვევაში დამადასტურებელ საბუთებს სამედიცინო ცნობების, ანკეტების, დეკლარაციების, ან სხვა სახით, მზღვეველის მოთხოვნისამებრ დაზღვეული/მოსარგებლე/კანონიერი მემკვიდრე წარმოადგენს საკუთარი ხარჯებით.

9. ანაზღაურების პროცედურა

წერილობითი განცხადებისა და ჩამოთვლილი საბუთების წარდგენისას, მზღვეველი გასცემს ანაზღაურებას ლარში.

მოსარგებლის დაზღვეულზე ადრე გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლება გადაეცემა მოსარგებლის მემკვიდრეებს, თუ დაზღვეულმა სხვა მოსარგებლე არ დანიშნა.

მბულატორიული მკურნალობის/სტაციონარში განთავსების წინასწარი ანაზღაურების შემთხვევაში, შემდგომში იგივე უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისსას ასანაზღაურებელი თანხის გამოთვლისას, 100%-ად ითვლება სადაზღვევო შემთხვევისათვის პიროვნებაზე არსებული სადაზღვევო ლიმიტი, მაგრამ ამ ასანაზღაურებელ თანხიდან გამოიქვითება ამბულატორიულ მკურნალობაზე/სტაციონარში განთავსებისას უკვე გადახდილი თანხა.
ამ პოლისის ფარგლებში სრული ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობის, სიდიდისა და დაზღვეულის მემკვიდრეების რაოდენობის მიუხედავად, არ აღემატება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო თანხის 100%-ს.

დანართი 2 – "დაზღვეულ პირთა" სია

	სახელი, გვარი	დაბ. თარიღი	პირადი ნომერი	მისამართი	პოზიცია
№	**გვარი, სახელი**	**დაბადების თარიღი**	**პირადი ნომერი. (მოქალაქის პირადი მოწმობის შესაბამისად)**	**მისამართი**	**სამუშაო ადგილი, თანამდებობა/ოჯახი**
1	ხუბაევი აკაკი	19.01.1962	№31001015 867	მცხეთა, ქართლის ქ. №18	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
2	ვეშაგური ხვიჩა	04.12.1981	№31001041 225	მცხეთა, სოფ. წეროვანი	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
3	ტრუბჩიკი იური	06.03.1960	№31001027 613	მცხეთა, ნარეკვავის ქ. №4	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
4	ბიჩინაშვილი ვლადიმერ	16.11.1961	№31001039 476	მცხეთა, ნარეკვავის ქ. №4	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
5	დგებუაძე ვალერიანე	10.01.1955	№62005011 736	ოჩამჩირე, სოფ. ახ. კინდღი	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
6	გოცირიძე როსტომ	03.11.1980	№62011001 097	გუდაუთა, სოფ. ახალსოფელი	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
7	ჩალაძე ზაზა	08.06.1985	№62011003 267	გუდაუთა, სოფ. ახალსოფელი	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი
8	გოგრიჭიანი ლევან	11.09.1980	№62011000 724	გუდაუთა, სოფ. ახალსოფელი	მცხეთა – ღართისკარი – ბაქო-სუფ 74-ე კილომეტრი

"მზღვეველი"
სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"
ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 67

გენერალური დირექტორი:

/**გიორგი კვირიკაძე/**

გენერალური დირექტორის მოადგილე:

/**მურაზ ფიჩხაძე/**

"დამზღვევი"
სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 3

გენერალური დირექტორი

/**დ. ბორთქიფანიძე/**